ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

Газета выходит с 1926 года.

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან

№ 41 (2084) კვირა, 13 ოქტომბერი 1985 წელი. ● ფასი 2 კაპ.

18 ოქტომბერი სოფლის მეურნეობის მუშაკთა დღეა

## მაქსიმალურად ავამაღლოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა

ჩვენს რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს 1985 წლის მოსავლის აღება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მისი მომიჯნავე დარგების ეფექტიანობის ამაღლება ჩვენი პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის საკვანძო მიმართულებად არის მიჩნეული. დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციას, დარგის მართვის მექანიზმის სრულყოფას, აგროსამრეწველო კომპლექსს, რაც არ უნდა ჩამორჩეს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს. პრაქტიკა გვიჩვენებს, აგროსამრეწველო კომპლექსის გამართული მუშაობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სხვადასხვა შინაარსის მმართველობითი და სამეურნეო-სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგებაზე. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე აღინიშნა, ახალი სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ყველა რეზერვი ჯერ კიდევ მაქსიმალურად არ არის გამოყენებული. მათ შორის პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აგროსამრეწველო კომპლექსის სამართლებრივ უზრუნველყოფას, რამაც პირველ რიგში ხელი უნდა შეუწყოს ამ უბანზე სოციალისტური კანონიერების განუხრელად გატარებას.

ჩვენმა რესპუბლიკამ, რომელმაც სოფლის მეურნეობის დარგში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო მმართველობის სტრატეგიული პრობლემების პრაქტიკული გამოცდა, დიდი ყურადღება დაუთმო აგროსამრეწველო კანონმდებლობასაც. ცხოვრებამ მოითხოვა მიგველო არამარტო ბევრი ახალი ნორმატიული აქტი, არამედ კომპლექსურად შეგვესწავლა მოქმედი სამეურნეო, საკოლმეურნეო, მიწის, ადმინისტრაციული, შრომისა და სამოქალაქო სამართლის ნორმები, დაგვეკავშირებინა ისინი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის და ხარისხის ზრდასთან. დიდი ყურადღება ეთმობა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დანერგვის, სამართლებრივი საშუალებების, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ახალი ფორმების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვის გაუმჯობესების და ხელშეკრულებო ურთიერთობების საკითხებს, რაც ჩვენი კანონმდებლობის შემდგომ სრულყოფას მოითხოვს. მაგალითად, სუსტი სამართლებრივი მუშაობის შედეგად დღემდე სანახევროდ არ სრულდება ხელშეკრულებები, რაც იდება კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და საკოლმეურნეო ბაზრებს შორის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემოზიდვაზე. პრაქტიკა მოითხოვს იმასაც, რომ ცალკე დარგად გამოიყოს აგროსამრეწველო კომპლექსის სამეურნეო კანონმდებლობა, რომელსაც თავისი კვლევის სპეციფიკური ობიექტი და მეთოდები გააჩნია.

აგროსამრეწველო კომპლექსში კანონიერების განმტკიცებისათვის ზრუნვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად ევალება ყველა სახელმწიფო ორგანოს — სახალხო დეპუტატთა საბჭოსაგან დაწყებული, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ჩათვლით. ამის შესახებ სპეციალურად იქნა გამახვილებული ყურადღება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიის 1985 წლის 27 ივნისის გადაწყვეტილებაში, რომელიც რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებსა და ორგანიზაციებში იურიდიული სამსახურის გაუმჯობესების საკითხებს მიეძღვნა.

მოსავლის აღებისა და დაბინავების დროს ყოველი წუთი ძვირფასია. ამიტომ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ტრანსპორტის მუშაკებს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რკინიგზით შეუფერხებელ და უდანაკარგო გადატანას. წინა წლების პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მოსავლის გარკვეული დანაკარგი გამოწვეულია ვაგონების დაზიანებით, დიდი დრო იკარგება მოსავლის დატვირთვა-გადმოტვირთვაში, ბევრი რეფრიჟერატორი აგრეთვე დაზიანებულია. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლაში გარკვეულ წარმატებებთან ერთად ჯერ კიდევ შეინიშნება ნაკლოვანებანი ტრანსპორტის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობაში. დანაშაულის გახსნისათვის ნაკლებად გამოიყენება საექსპერტო-კრიმინალისტური სამსახურები. ზოგჯერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დატაცების თავიდან აცილებასა და დანაშაულის გახსნის ეფექტურობას ხელს უშლის საარიცხვო-სარეგისტრაციო მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. ზოგიერთი შინაგან საქმეთა რკინიგზის ხაზზე განყოფილების ხელმძღვანელობა ყოველთვის ვერ იჩენს მომთხოვნელობას რკინიგზისა და სხვა ტრანსპორტის ხელმძღვანელობის მიმართ, რომლებიც უპასუხისმგებლობას იჩენენ და არ ატარებენ ღონისძიებებს ტვირთის დატაცების მიზეზების აღმოსაფხვრელად, მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვისა და შენახვის წესების დასაცავად. ნაკლებად გამოიყენება სახალხო რაზმელების, შრომითი კოლექტივების დახმარება, თავის სიტყვა უნდა თქვას სახელმწიფო ავტოინსპექციამ.

შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებმა ყველა იმ ორგანიზაციათა თანამშრომლებთან ერთად ვისაც ევალება მოსავლის აღებისა და გადატანის დროს მისი დაცვა და უდანაკარგოდ დაბინავება, დიდი პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინონ, რათა სოფლის მშრომელთა ოფლით მოწეული მოსავლის არც ერთი გრამი არ დაიკარგოს.

---

НАВСТРЕЧУ XXVII СЪЕЗДУ КПСС

РСУ УИТУ МВД ГССР, включившись в социалистическое соревнование за достойную встречу XXVII съезда КПСС и XXVII съезда КП Грузии, взяло повышенное обязательство — план одиннадцатой пятилетки выполнить к 7 ноября т. г. Руководство, партийная и профсоюзная организац и и

## РАПОРТУЮТ

проделали определенную работу по мобилизации коллектива на выполнение взятых социалистических обязательств и за 9 месяцев достигли высоких показателей.

План девяти месяцев выполнен на 119,5% в т. ч. по объектам госкапвложе н и я на 102,3%. Достигнув таких показателей, РСУ УИТУ МВД ГССР план одиннадцатой пятилетки выполнило досрочно к 7 октября, ко дню Конституции СССР, на 104,9%.

Коллектив РСУ УИТУ МВД ГССР заверяет руководство Министерства и партийный комитет МВД ГССР, что приложит максимум усилия на успешное выполнение соцобязательств.

**З. ТКЕШЕЛАШВИЛИ,**
**начальник РСУ УИТУ МВД ГССР.**

---

# В ЦЕНТРАЛЬНОМ КОМИТЕТЕ КОМПАРТИИ ГРУЗИИ

Состоялись очередные заседания бюро и секретариата Центрального Комитета Компартии Грузии.

Бюро ЦК КП Грузии рассмотрело вопрос о ходе выполнения в партийной организации республики постановления ЦК КПСС «О мерах по преодолению пьянства и алкоголизма». Отмечено, что партийными, советскими, профсоюзными, комсомольскими органами республики проделана значительная работа по реализации требований данного постановления. Меры, принимаемые по искоренению пьянства и алкоголизма, получили полное одобрение и поддержку со стороны трудящихся Грузии. Строгий спрос предъявляется к коммунистам, членам ВЛКСМ, должностным лицам, злоупотребляющим спиртными напитками. Заметно усилилась антиалкогольная пропаганда, на многих предприятиях и в организациях стали функционировать «Клубы трезвости». Ведется перестройка работы предприятий розничной торговли и общественного питания, осуществляются мероприятия по изменению структуры продукции винных заводов, перепрофилированию предприятий консервной промышленности. Усилилась борьба со спекуляцией спиртными напитками и самогоноварением.

Вместе с тем отмечалось, что не везде борьба с пьянством и алкоголизмом носит наступательный, системный характер, в этом важном деле имеются определенные недостатки.

В принятом по данному вопросу постановлении бюро ЦК КП Грузии обязало обкомы, горкомы, райкомы партии, первичные партийные организации глубоко проанализировать проведенную работу по преодолению пьянства и алкоголизма, осуществить дополнительные меры по ее дальнейшей активизации, закреплению положительных тенденций, устранению имеющихся недостатков, постоянно контролировать и направлять деятельность партийных, советских, профсоюзных, общественных организаций, руководящ и х кадров на безусловное выполнение требований постановления ЦК КПСС.

Секретариат ЦК КП Грузии, обсудив ход отчетов и выборов в партийных организациях республики, отметил, что отчеты и выборы в целом проходят на высоком организационном и идейно-политическом уровне, под знаком последовательного претворения в жизнь решений XXVI съезда партии. Собрания, как правило, характеризуются деловитостью, принципиальной критикой и самокритикой, взаимной требовательностью коммунистов, нетерпимостью к проявлениям формализма, парадности и благодушия. Особый акцент повсеместно делается на укрепление дисциплины, повышении ответственности каждого члена партии за добросовестное выполнение порученного дела.

Вместе с тем, в некоторых партийных организациях республики отчетно-выборные собрания прошли на низком организационном уровне, при недостаточной активности коммунистов, на них поверхностно анализировалось положение дел.

Исходя из требований апрельского (1985 г.) Пленума ЦК КПСС, положений и выводов, содержащихся в выступлениях Генерального секретаря ЦК КПСС М. С. Горбачева, секретариат ЦК КП Грузии обязал горкомы, райкомы партии, первичные партийные организации принять все меры к тому, чтобы провести отчетно-выборные собрания организованно, под знаком достойной встречи XXVII съезда партии, в атмосфере принципиальной критики недостатков, делового и объективного обсуждения отчетных докладов, способствовать дальнейшему развитию внутрипартийной демократии, укреплению партийной и государственной дисциплины, повышению роли и ответственности коммунистов, уделив особое внимание задачам успешного завершения 1985 года и одиннадцатой пятилетки в целом.

На заседаниях бюро и секретариата Центрального Комитета Компартии Грузии были обсуждены и некоторые другие вопросы экономической и общественно-политической жизни республики.

---

## იცნობდეთ — მოწინავეა



**თეიმურაზ** გიორგის ძე გელაშვილი დაიბადა 1948 წელს, ხაშურის რაიონის სოფ. კლდისწყაროში.

...სამხედრო სავალდებულო სამსახურის პირნათლად მოხდის შემდეგ თ. გელაშვილმა სწავლა განაგრძო ქ. თბილისის პროფტექნიკურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ხაშურის მინის ტარის ქარხნის სადურგლო საამქროში.

1974 წლის მაისიდან შრომითი კოლექტივის რეკომენდაციით მოწინავე კომკავშირელი ი. გელაშვილი შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ გაიგზავნა, იგი აქაც მოწინავეთა რიგებშია...

...მილიციის უფროსი სერჟანტი თ. გელაშვილი ახალგაზრდა მუშაკთა დამრიგებელია. მას მიამაგრეს ახალგაზრდა მილიციელი ზ. ჯაოშვილი, რომელსაც ასწავლიდა სამსახურეობრივი სიძნელეების დაძლევას, მოქალაქეებთან კულტურულ ურთიერთობას. ამჟამად ზ. ჯაოშვილი სწავლობს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტზე, სადაც ეუფლება იურისტის რთულსა და საპატიო პროფესიას.

მის დამრიგებელს თ. გელაშვილს კი ვუსურვებთ კვლავაც წარმატებები არ მოჰკლებოდეს ახალგაზრდა მუშაკთა დაოსტატებასა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში.

# დროის მოთხოვნათა შესაბამისად

ბორჯომის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ყველა თანამშრომელმა სწორად აღიქვა და შეაფასა ის კურსი, რომელიც გამოიკვეთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე და აგვისტოში გამართულ რესპუბლიკის იდეოლოგიური აქტივის კრებაზე ნეგატიური მოვლენების მიმართ. პარტიული ორგანიზაცია ცდილობს საჯაროდ მიეცეს მათ პრინციპული შეფასება, პრაქტიკამ კი გვიჩვენა, რომ ეს არის ნაკლოვანებათა დაძლევისა და სამომავლოდ გაფრთხილების ყველაზე სანდო, ყველაზე მისაღები გზა. ახლახან საანგარიშო საარჩევნო კრებაზე ვიმსჯელეთ გაწეული მუშაობის შესახებ.

ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას ყოველთვის ახსოვდა, რომ კრების ჩატარებას, დადგენილების მიღებას მაშინ აქვს აზრი, როცა იგი ტარდება ცხოვრებაში, სრულდება კეთილსინდისიერად და აუცილებლად. ამ საკითხზე კონტროლის განხორციელება დავალებული ჰქონდა სახალხო კონტროლის ჯგუფს, რომელიც არასისტემატურად, მაგრამ მაინც ახორციელებდა კონტროლს მიღებული დადგენილებების შესრულებაზე; იმ შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით, რომელიც გამოთქმული იქნა კრებებზე. გარდა ამისა, ღია პარტიულ კრებაზე განხილული იქნა საკითხი „პარტიულ კრებებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების, სარეალიზაციოდ გატარებული ღონისძიებებისა და მიღებული დადგენილებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ამ საქმეში ბიურომ სუსტად იმუშავა, არ იყო დაწესებული სისტემატური კონტროლი მიღებული დადგენილებების ყველა პუნქტის უცილობელ შესრულებაზე. მართალია, კრებებზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების სარეალიზაციოდ გარკვეული მუშაობა იქნა ჩატარებული, საანგარიშო პერიოდში მწყობრში ჩადგა ლენინის ოთახი, მიმდინარეობს დასასვენებელი ოთახისა და სპორტული დარბაზის რემონტი, მაგრამ გასაკეთებელი კვლავ ბევრი გვაქვს.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში ერთგვარად დაიხვეწა პარტიული ორგანიზაციის სტრუქტურა, შეიქმნა 6 პარტიული ჯგუფი, რომლებმაც დამაკმაყოფილებლად იმუშავეს. მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ საგამომძიებლო ქვეგანყოფილების პარტიულ ჯგუფს (ჯგუფორგი რ. მიქავა) კრებაზე არ მოუსმენიათ ჯგუფის არცერთი წევრის ანგარიში.

„იდეურ-პოლიტიკური აღზრდა — ნათქვამია ამხ. მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლაში 1985 წლის აპრილის პლენუმზე — ყველა თავისი ფორმით მაქსიმალურად უნდა იყოს დაკავშირებული დღევანდელობის მთავარ ამოცანასთან — ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებასთან“. ეს კარგად ესმის ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას და დღენიადაგ ზრუნავს პოლიტსწავლების შემდგომი ამაღლებისათვის. მაგრამ ვფიქრობ ჯერ კიდევ ყველაფერი არ გაგვიკეთებია იმისათვის, რომ იდეოლოგიური მუშაობა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ცხოვრებასთან. ამ საქმეში კვლავ ხელს გვიშლის ფორმალიზმი. იყო შემთხვევები, როდესაც მსმენელები მეცადინეობებზე მოდიოდნენ მოუმზადებლები, მეცადინეობაზე გადმოცემულ მასალას ვერ უკავშირებდნენ ცხოვრებას. (თ. ხალაძე, პ. გომარელი, ე. გიორგაძე).

დროის მოთხოვნაა ხელს ვუწყობდეთ კომუნისტთა აქტიურობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი დამოკიდებულებისათვის, პარტიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, პარტიის ყველა წევრის მიმართ მომთხოვნელობის გადიდებას. სწორედ ამ მიზანს ემსახურება რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში დაწყებული პრაქტიკა — კომუნისტთა ანგარიშების მოსმენა და მათი პარტიული დახასიათებების დამტკიცება. პარტიული მუშაობის ამ ფორმამ ფართო გავრცელება ჰპოვა ჩვენს ორგანიზაციაში. საანგარიშო პერიოდში მოსმენილი იქნა 7 კომუნისტის ანგარიში და დამტკიცდა მათი პარტიული დახასიათებები, მათგან 3 — უარყოფითი.

საანგარიშო პერიოდში პარტიული ბიუროს დავალებით სახალხო კონტროლის ჯგუფი სისტემატურად სწავლობდა საკითხებსა და იხილავდა ჯგუფის სხდომებზე, ხოლო მნიშვნელოვანი საკითხები ხდებოდა პარტიული ბიუროს სხდომის მსჯელობის საგანი. ასევე ახდენდა კრებებზე მიღებული დადგენილებების და მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების შესრულების მიმდინარეობის განხილვას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ კუთხით ჯგუფმა საკმარისი მუშაობა ვერ გასწია, რაც მომავალში გასათვალისწინებელია.

კარგად იმუშავა საანგარიშო პერიოდში კედლის გაზეთ „ძერჟინსკელის“ რედკოლეგიამ, რომელმაც გამოუშვა 8 ნომერი, სადაც ასახული იყო როგორც განყოფილების ყოველდღიური ცხოვრება, ასევე საერთაშორისო და სხვა საინტერესო საკითხები. ვამბობთ კარგად იმუშავა რედკოლეგიამ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი ყველა წევრი აქტიურად იყო ჩაბმული გაზეთის მომზადებასა და გაფორმებაში; ყველა ეს სიმძიმე იტვირთა გაზეთის რედაქტორმა ვ. ხაჩიძემ.

ყველასათვის ცნობილია სკკპ ცკ-ის დადგენილება კომკავშირულ ორგანიზაციაზე პარტიული ხელმძღვანელობისა და დახმარების შესახებ. ამ მხრივ ჩვენი პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რაიგანყოფილების კომკავშირულ ორგანიზაციას, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ კომკავშირული ორგანიზაცია თავის მხრივ ვერ იჩენდა საჭირო ინიციატივას. ჩვენი ორგანიზაციის ყველა კომუნისტს კარგად ესმის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის რიგებში შესასვლელად კანდიდატურის მომზადებას. რომ თითოეული კანდიდატი შესწავლილი უნდა იქნეს ძირფესვიანად, მისი ოჯახური მორალური და შრომითი თვისებებით, რათა პარტიის რიგები შეივსოს მოწინავე, ღირსეული ახალგაზრდებით, სწორედ ამ კუთხით უდგებით ჩვენ ყოველი ახალგაზრდის მომზადებას პარტიის წევრობისათვის. მიდინარე საანგარიშო პერიოდში სკკპ რიგებში მიღებული იქნა 5 სკკპ წევრობის კანდიდატი.

შს განყოფილების მიერ გატარებული მთელი რიგი ოპერატიულ-პროფილაქტიკური სახის ღონისძიებების შედეგად, ოპერატიული ვითარების გაჯანსაღება გამოიწვია ისეთი სახის დანაშაულთა კლებამ როგორიცაა: სხეულის მძიმე დაზიანება, მოქალაქეთა პირადი ქურდობა, თაღლითობა და ავტომანქანის გატაცება.

იმედია ჩვენი კომუნისტები და კომკავშირლები მომავალში მეტი ენერგიითა და შემართებით იმუშავებენ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად. მთელი კოლექტივი, პარტიული ორგანიზაცია, პარტიის რაიონული კომიტეტის დახმარებით ყველაფერს გააკეთებენ რაიონში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, რათა ღირსეულად შევხვდეთ სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობებს.

**ა. სარალიძე,**
**ბორჯომის შს რაიგანყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივანი, მილიციის ლეიტენანტი.**

# ХИЩЕНИЯМ НА ТРАНСПОРТЕ — НАДЕЖНЫЙ ЗАСЛОН

Выполняя требования постановления вышестоящих органов об усилении борьбы с хищениями народнохозяйственных грузов, линейное отделение внутренних дел на ст. Тбилиси-узловая последовательно осуществляет комплекс мер, направленных на профилактику и своевременное раскрытие преступлений этой категории. Положительно сказалась на состоянии борьбы с кражами грузов из подвижного состава практика осмотра грузовых поездов, их коммерческого и технического состояния на станции Гардабани. Круглосуточно несут здесь свою совместную трудовую вахту сотрудники военизированной охраны и железной дороги, проводя работу по воспрепятствованию проникновения на территорию республики вагонов со следами хищений.

В текущем году на стыковых станциях решилась проблема, которая раньше доставляла немало хлопот. Дело в том, что наконец удалось создать технические условия для проверки 2-го яруса состава, находящегося под напряжением контактной линии. Теперь мы имеем возможность осмотра перевозимого оборудования, сельскохозяйственной техники, нередко попадавшей к грузополучателю, на предприятия в разукомплектованном состоянии, простаивающей из-за нехватки нужных, но недостающих деталей. Это, конечно, намного облегчило работу по выявлению фактов хищений автосельхозтехники и органами внутренних дел на транспорте соседних республик.

Однако случается и такое, что сами работники военизированной охраны занимаются хищением. Так, например, сотрудниками ЛОВД на ст. Тбилиси-узловая на факте хищения автопокрышек на сумму 1.050 рублей из автомашин «Москвич», находившихся на платформе, были задержаны работники ВОХРа ст. Тбилиси - сортировочная Г. Осадзе, Д. Татаев и Т. Курдадзе.

Служба в органах внутренних дел на транспорте — особая. Сотрудникам милиции приходится работать в специфических условиях. Все, что они охраняют, — пассажиров, их имущество, народнохозяйственные грузы — находится в состоянии движения. Да и правонарушители, с которыми им приходится сталкиваться — «гастролеры» — лица, ведущие праздный образ жизни. Распознать, пресечь их деятельность — прямо сказать, задача нелегкая. Вот почему от тех, кто обеспечивает общественный порядок в поездах и на вокзалах, в залах камер хранения и на железнодорожном полотне, требуются специальные навыки и мастерство. Это относится к представителям всех без исключения подразделений.

Каждый день в Тбилиси прибывают десятки товарных вагонов. И здесь нужен глаз да глаз. Необходимо проверить каждый состав, каждый вагон. В случае повреждения пломбы или недостачи товаров сотрудники отделения принимают своевременные меры по выявлению расхитителей государственного имущества.

Нужно отметить, что ЛОВД на ст. Тбилиси-узловая проводится большая работа в этом направлении. И это дало свои результаты.

По итогам 9 месяцев т. г. по сравнению с аналогичным периодом прошлого года по линии уголовного розыска наблюдается значительное снижение количества разбойных нападений, краж личного имущества, улучшилась раскрываемость преступлений.

Хорошая картина прослеживается и по линии БХСС. На нет сведено количество мелких хищений, по сравнению с прошлым годом выявлено больше фактов спекуляции, провоза безбилетных пассажиров, хищений путем краж.

Достигнутые результаты — итоги повседневной работы коммунистов, всего личного состава отделения, актива общественности и работников ЗКВ ж. д.

Однако жизнь не стоит на месте и довольствоваться достигнутым нельзя. Мы и впредь будем делать все необходимое, чтобы организовать заслон на пути хищениям социалистической собственности на транспорте. Это задача каждого коммуниста, каждого сотрудника. Это — важнейшее условие успешного решения задач, поставленных Центральным Комитетом партии.

**В. БАКРАДЗЕ,**
**начальник ЛОВД на ст. Тбилиси-узловая, майор милиции.**

# ЛЕЙТЕНАНТ ТОРАДЗЕ

Биография Важи Торадзе, лейтенанта милиции, инспектора инспекции по делам несовершеннолетних Тетрицкаройского РОВД как две капли воды похожа на биографии тех молодых людей, которые посвятили свою жизнь служению в органах внутренних дел.

Родился Важа в 1959 году, в поселке Манглиси, в рабочей семье. Закончил Манглисскую грузинскую среднюю школу. Тяга к технике привела его в Тбилисский радиотехнический техникум. Однако учился Важа там недолго. В ноябре 1977 года его призвали в ряды Советской Армии. После демобилизации он окончил радиотехнический техникум.

В августе 1980 года Важа поступает на Тбилисский факультет Московской высшей школы милиции, который закончил с отличием.

По распределению он попал в город Тетрицкаро. И вот с августа 1984 года Важа Торадзе работает инспектором по делам несовершеннолетних.

— Важа, вам, наверное, очень трудно работать на такой ответственной должности? Ведь вы не намного старше своих подопечных. Интересно узнать, как вы справляетесь с ними, как находите общий язык.

— В моей работе я не одинок. Работаю в тесном контакте с районным отделом народного образования, педколлективами школ, с РК ЛКСМ, с комиссией по делам несовершеннолетних. Общими усилиями мы проводим определенную работу по перевоспитанию «трудных» мальчишек. К каждому из них нужен индивидуальный подход. Знаете, как ранима душа подростка. Одними крутыми мерами ничего не добьешься, только искалечишь духовно юного человека. Поэтому мы делаем все, чтобы они видели в нас своих добрых старших товарищей, которые хотят их поставить на правильную дорогу, длина которой — жизнь.

**Г. КОРДЗАДЗЕ.**



**НА СНИМКЕ: В. Торадзе и участковый инспектор по делам несовершеннолетних Ф. Тамразов беседуют с подростками.**

Фото С. Сычева.

# კომკავშირული აქტიურობით

**დასასრულს** უახლოვდება XVI რესპუბლიკური კომკავშირული ორთვიური, რომლის მიზანია პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებით თავიდან იქნეს აცილებული მოზარდი თაობის მხრიდან მოსალოდნელი ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი ქმედება და უზრუნველყოს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება.

საქართველოს ალკკ ტყიბულის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობით და პრაქტიკული დახმარებით მნიშვნელოვანი საორგანიზაციო ღონისძიებები გატარდა კომკავშირული ორთვიურის გეგმით გათვალისწინებული საკითხების გადასაჭრელად. ტყიბულის ზონის სამომსახურეო ტერიტორია დაყოფილი იქნა ზონებად. სამართლებრივი აღზრდის თემატიკით ჩატარდა ლექცია-საუბრები ტყიბულის საშუალო სკოლების მოსწავლეებთან, პროფტექნიკურ და ტექნიკურ სასწავლებლებში, ინდუსტრიულ ტექნიკუმში; სოფლების: საწირის, ხრესილის, ორპირის, კურსების, გელათის, ცუცხვათის, სოჩხეთისა და გურნის საშუალო სკოლებში.

ორთვიურის მანძილზე გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება და არსებული მდგომარეობის გაანალიზება დაგვანახვებს ჩვენს საქმიანობაში არსებულ ცალკეულ ნაკლოვანებებს. ასევე მიგვანიშნებს მომავალი მუშაობის კარდინალურ საკითხებს, თუ რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ მეტად მნიშვნელოვანი კამპანიის მაღალ დონეზე ჩატარება დიდად არის დამოკიდებული ძირეული პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის აქტივობაზე და ორგანიზებულობაზე. სიამაყის გრძნობით აღვნიშნავთ, რომ ორთვიურის დაწყების წინ ტყიბულის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ტერიტორიაზე რეგისტრირებული არ ყოფილა არცერთი სისხლის სამართლის დანაშაული არასრულწლოვანთა მხრიდან.

ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რათა ტრადიციულად ქცეული რესპუბლიკური კომკავშირული ორთვიურის მანძილზე შენარჩუნებული იქნას მაღალი შედეგები ტყიბულის ზონის ტერიტორიაზე არასრულწლოვანთა მხრიდან სამართალდარღვევათა აღკვეთა-აცილების საქმეში.

**ბ. ბარბაქაძე,**
**ტყიბულის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების არასრულწლოვანთა საქმეების უბნის ინსპექტორი, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.**

# მუშაობა ეფექტური და ხარისხიანი რომ იყოს

კომკავშირულ XVI ორთვიურთან დაკავშირებით 26 კომისრის სახ. რაიონის სამომსახურეო ტერიტორია დაიყო 8 საშტაბო ერთეულად, მიკრორაიონების მიხედვით. შტაბები მუდმივმოქმედია და მასში გაერთიანებულია არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის ინსპექტორები, სახლმართველობისა და საშუალო სკოლების პედ-ორგანიზატორები,



კომკავშირული აქტივი იმ წარმოება-დაწესებულებებიდან, რომლებიც განლაგებულია აღნიშნული შტაბის სამომსახურეო ტერიტორიაზე. რეიდები ტარდება დილით და საღამოს სამართალდამრღვევ არასრულწლოვანების გამოვლინებისა და რაიონში სისხლის სამართლის დანაშაულობათა აღკვეთა-აცილების მიზნით. 2 სექტემბრიდან დღემდე არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექტორთა მიერ სხვადასხვა დარღვევებისათვის შტაბებში წარმოდგენილი იქნა სწავლასა და შრომაში ჩაუბმელი არასრულწლოვნები., გამოვავლინეთ მოზარდები გაკვეთილებისა და სამუშაოს გაცდენისათვის, წვრილმანი ხულიგნობისა და ქურდობისათვის, უზე-



დამხედველობისათვის. რამდენიმე მათგანი აღრიცხვაზე იქნა აყვანილი და დაენიშნა მეთვალყურეობა.

ცხრა თვის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ და რაიონში მომხდარ სისხლის სამართლის დანაშაულობებს გავუკეთებთ ანალიზს გასული წლის ამ პერიოდთან შედარება გვიჩვენებს, რომ დანაშაულობანი არასრულწლოვანთა მხრიდან შემცირებულია. რეიდებმა უდავოდ შეუწყო ხელი რაიონში ოპერატიული მდგომარეობის გაუმჯობესებას. არ მომხდარა ისეთი მძიმე სახის დანაშაულობები როგორიცაა: მკვლელობა, გაუპატიურება, დაჭრა და სხვა. რეიდები ტარდება სკვერებში, ბაღებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, კინოთეატრებში, საკოლმეურნეო ბაზრებში, სკოლებსა და პროფტექნიკური სასწავლებლების საერთო საცხოვრებლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ რაიონს შემოემატა ვარკეთილის დასახლება — 3, შესაბამისად გაიზარდა მოსახლეობაც. რაიონის ტერიტორიაზე იგრძნობა რომ ტარდება ორთვიური. შარშანდელთან შედარებით არასრულწლოვანთა შორის შემცირდა ისეთი სახის დანაშაულობათა გამოვლინება როგორიცაა ცივი იარაღის ტარება, სპირტიანი სასმელების მიღების ფაქტები.

აქვე გვინდა გამოვყოთ ის ინსპექტორები, რომლებიც მონდომებითა და აქტიურობით გამოირჩევიან.. ესენია: ნ. ჯაფაროვი, ნ. ობოლაშვილი, ა. გევორქიანი, ვ. მიხანაშვილი და სხვა. კომკავშირული აქტივიდან: თოფურიშვილი, სეფიშვილი, ნანიჯანიანი; შტატგარეშე ინსპექტორებიდან კი — ს. ღვინიაშვილი მ. ავეტისიანი, 5. მედოიანი და სხვები; პედორგანიზატორებიდან: მ. სარალიძე, ნ. თეთრაშვილი, ნ. გახოკიძე და სხვა.

გადავამოწმეთ აღრიცხვაზე მყოფი არაერთი არასრულწლოვანი. შემოწმდა მათი როგორც სწავლებისა და შრომის ადგილები ასევე საცხოვრებელი პირობები.

მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორია გაიზარდა, მოსახლეობამ საგრძნობლად იმატა ინსპექტორთა რაოდენობა არ შეცვლილა. რა თქმა უნდა ინსპექტორთა შტატების გაზრდა მაქვს მხედველობაში, უფრო მეტად კი ვაზისუბნის ქვეგანყოფილებაში სადაც, არასრულწლოვანთა ხაზით ოთხი ინსპექტორი მუშაობს. ამით გაუმჯობესდებოდა რაიონის სამომსახურეო ტერიტორიაზე ოპერატიული მდგომარეობა. არასრულწლოვანთა ხაზით, მუშაობა უფრო ეფექტური და ხარისხიანი იქნებოდა.

**ვ. ჯანელიძე,**
**26 კომისრის შს რაიგანყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციის უფროსი, მილიციის მაიორი.**

**სურათზე:** არასრულწლოვანთა ინსპექციაში მიმდინარეობს ჩახატარებელ ღონისძიებათა განხილვა, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ნ. ჭავახოვი ესაუბრება მოზარდებს.

ს. სიჩოვის ფოტო.

# Главное — профилактика

Более пяти лет назад при местных Советах народных депутатов Абхазии были созданы городские и районные комиссии, сельские и поселковые группы по предупреждению правонарушений, совершаемых на почве бытовых конфликтов, выявлению и примирению семей и граждан, находящихся в неприязненных взаимоотношениях. Плодотворность деятельности этих комиссий была отмечена в постановлении Президиума Верховного Совета Грузинской ССР, в котором подчеркивалось, что с их созданием значительно расширилось участие местных советов, депутатов, представителей общественности в разрешении конфликтных ситуаций, возникающих на бытовой почве, в борьбе с пьянством и тунеядством, в изучении условий, способствующих возникновению межсоседских или семейных ссор.

Большую работу проводит в этом направлении исполком Гульрипшского районного совета народных депутатов. Достаточно сказать, что за последние полгода здесь не зафиксировано ни одного преступления, совершенного на почве бытового конфликта.

В соответствии с постановлением Президиума Верховного Совета Грузинской ССР здесь было разработано Положение о постоянно действующей комиссии по борьбе с тунеядством и профилактике бытовых правонарушений и системе выявления, трудоустройства и закрепления в трудовых коллективах лиц, не занятых общественно полезным трудом. Были составлены, размножены типографским способом и разосланы сельисполкомам специальные формы, в которых фиксируются сведения о нарушителе, характере правонарушения, принятых мерах.

Эффективным оказался проведенный в районе двухмесячник по усилению борьбы с тунеядством и выявлению дополнительных трудовых ресурсов. Впрочем, рейды и проверки с этой целью проводятся регулярно, систематически устраиваются выездные заседания комиссии, вопросы борьбы с тунеядством периодически рассматриваются на заседаниях исполкома райсовета.

На учете в советских, административных органах района в настоящее время состоят 48 конфликтующих семей и отдельно граждан, из которых четверо (те, с чьей стороны сохраняется опасность совершения преступления) взяты под особый контроль.

Проводится работа по изъятию у населения незарегистрированного оружия. Систематически организуются лекции на правовые темы.

Если раньше итоги работы с правонарушениями на бытовой почве рассматривались на заседаниях райисполкома ежеквартально, то в 1984 году о них было упомянуто лишь однажды — при заслушивании отчета исполкома о проделанной работе. Ни разу не обсуждались за этот период и отчеты председателей подкомиссий по этому вопросу.

Ознакомление с работой исполкомов некоторых местных советов района, например, Пшавского, Гульрипшского, показало, что для них смысл работы постоянно действующих подкомиссий по борьбе с тунеядством и предупреждению правонарушений в бытовой сфере сводился, в основном, лишь к примирению конфликующих граждан, при этом игнорировалась воспитательная и профилактическая роль подкомиссий: на их заседаниях, созываемых для разрешения конфликтов, не выявлялись причины и условия, порождающие конфликтные ситуации, не принимались соответствующие меры по их ликвидации.

Президиум Верховного Совета Абхазской АССР оказал местным советам Гульрипшского района оперативную и действенную помощь в улучшении организации борьбы с правонарущениями в бытовой сфере. Старший юрисконсульт Л. Хагба, к примеру, помогла составить план работы постоянно действующих подкомиссий с учетом профилактических и воспитательных мероприятий, дала ряд консультаций по поводу целенаправленности принимаемых решений. Предусмотрено и заслушивание информаций участковых инспекторов милиции о выявлении лиц, уклоняющихся от общественно полезного труда, и конфликтующих граждан, а также отчеты руководителей организаций, колхозов и совхозов о работе с лицами, вернувшимися из мест лишения свободы, и профилактической работе в трудовых коллективах. Особое внимание в деятельности подкомиссий уделено ныне усилению борьбы с пьянством и алкоголизмом, соблюдению правил торговли спиртными напитками.

СТЕНДЫ РАССКАЗЫВАЮТ

# ИСТОРИЯ В ДОКУМЕНТАХ

А. В. Луначарский называл музеи «грандиозными памятными книгами человечества». Здесь человек может совершить путешествие в прошлое, увидеть многое из того, что давно и навсегда ушло из нашей жизни. Вещи переживают своих создателей, владельцев и становятся памятниками истории, источниками знаний. За каждой фотографией, уникальным документом стоит судьба не только отдельного лица, но и целого поколения.

Роль и значение музеев в идейно - нравственном воспитании сотрудников, в пропаганде боевых и трудовых традиций старшего поколения ясно понимало руководство Хашурского РОВД, когда решило создать музей истории хашурской милиции.

Приказы, рапорты, форменная одежда разных периодов, оружие, личные документы, собранные в музее, воссоздают подлинные события и факты из жизни органов внутренних дел. Они рассказывают о том, какие люди трудились в грузинской советской милиции, как они несли свою нелегкую службу.

Идея создания музея хашурской милиции родилась в 1972 году, однако реальная возможность претворения ее в жизнь появилась в 1976 году, когда коллектив РОВД получил новое здание.

Созданию экспозиции музея предшествовала огромная поисковая работа. Сбор материалов, документов, встречи с ветеранами милиции способствовали восстановлению по крупицам истории хашурской милиции, неотделимой от истории всей грузинской советской милиции.

...25 июня 1981 года. В день празднования 60-летия грузинской советской милиции состоялось торжественное открытие музея, на котором присутствовали руководители партийных, советских органов, ветераны войны, труда, органов внутренних дел.

В музее имеются три раздела, фонды его насчитывают до 150 экспонатов.

В первом разделе представлены законодательные акты, приказы, рапорты хашурской милиции с 1921 года, показана деятельность милиции в годы коллективизации.

В этом разделе имеется стенд, рассказывающий о первом начальнике милиции Шалве Бакрадзе, начальнике милиции в 1925-30 гг. Георгие Зурабовиче Элегашвили, ныне пенсионере. Здесь же представлены фотографии, личные вещи, документы Элегашвили.

Интерес представляет стенд, показывающий деятельность конной милиции.

Один из стендов музея рассказывает о милиционере Мелитоне Перадзе, который задержал некоего Тусиани, находящегося во Всесоюзном розыске. В 1933 году Мелитон Перадзе за добросовестное исполнение своих служебных обязанностей награжден именным револьвером.

Второй раздел рассказывает о сотрудниках хашурской милиции в годы Великой Отечественной войны.

Большая часть экспонатов музея посвящена сегодняшнему дню, ее будням. Документы и фотографии повествуют о новых, повышенных требованиях к советскому милиционеру, о том, как почетен и ответственен труд сотрудников органов внутренних дел в нашей стране.

Музей стал подлинным центром эстетического воспитания сотрудников милиции. Здесь практикуются встречи с ветеранами войны, труда, органов внутренних дел, посвящение в милиционеры, передача табельного оружия.

В книге отзывов посетители оставляют теплые слова благодарности в адрес тех, кто создал богатую историю милиции, прикосновение к которой дарит сердцу волнующие минуты проникновения в атмосферу сурового, но прекрасного времени становления и развития хашурской милиции.

**А. САРКИСЯН.**
**(Наш спец. корр.).**
г. Хашури.

**НА СНИМКЕ:** ветераны в музее.

Фото **О. Мирзашвили.**



РЕПЛИКА

# ЗАБЫЛИ...

«Автомобиль не роскошь, а средство передвижения». Эта простая истина вспомнилась нам в прекрасный солнечный день, когда мы уже не в первый раз имели счастье любоваться «Москвичом» с государственным номером 02-41 ГГГ. Более трех месяцев «украшает» она проезжую часть улицы Советской.

«Хороший подарок» преподнесло руководство Октябрьского РОВД жителям микрорайона, которые полюбили одиноко стоящую у их домов автомашину, и по утрам дружно выносят и насыпают у ее спущенных покрышек жилищно - бытовой мусор.

Фото С. Сычева.




# გმადლობთ, სახალხო რაზმელებო!

ბათუმელმა ნუსრედინ ბერიძემ შვილიშვილები წაიყვანა სასეირნოდ. ხალხმრავლობა იყო ჭავჭავაძის ქუჩაზე. ბაბუა პატარებთან ერთად ნელა მიუყვებოდა გზას. ბავშვები მხიარულობდნენ და უამრავ შეკითხვას აძლევდნენ მოხუცს. მან ვერც კი შენიშნა, თუ როდის გაეპარა ოთხი წლის ნინო, თურმე ცელქი გოგონა მარტო წავიდა ლერმონტოვის ქუჩით და ხალხის ნაკადს უნივერსამში შეჰყვა.

ბინდდებოდა. № 8 მიკრორაიონის სახალხო რაზმელები მორიგ შემოვლაზე იყვნენ. აღელვებულმა ბაბუამ მათ შესჩივლა გასაჭირი. სახალხო რაზმელმა ტ. წულაძემ დაამშვიდა მოხუცი და დახმარება აღუთქვა. მან სასწრაფოდ იხმო სხვა რაზმელებიც და დაიწყეს პატარა ნინოს ძებნა. თვითონ ტ. წულაძე უნივერსამში შევიდა. სწრაფად მოავლო თვალი ხალხით გაჭედილ დარბაზს. მისი ყურადღება შეჯგუფულმა ხალხმა მიიპყრო, სახალხო რაზმელმა გაარღვია წრე და გოგონასთან მივიდა.

— რა გატირებს ნინო? — ჰკითხა სახალხო რაზმელმა. სახელის გაგონებაზე პატარა დამშვიდდა. მადლიერი თვალები შეავლო უცნობს, მერე ამოიღუღლუღა, ბაბუა და თამაზი დაიკარგნენო.

— ნუ გეშინია — დაყვავებით უთხრა სახალხო რაზმელმა — ბაბუა და შენი ძმა ჩვენთან გიცდიან, „აბა წავიდეთ!

ბაბუამ მადლობა გადაუხადა სახალხო რაზმელებს დახმარებისათვის.

ზ. დარჩიძე,
ბათუმის № 8 მიკრორაიონის სახალხო რაზმეულთა შტაბის უფროსის მოადგილე.

# НАШИ КОРРЕСПОНДЕНТЫ СООБЩАЮТ

25 апреля 1985 года неизвестными лицами была совершена кража автомашины «ВАЗ-2103» со двора жителя села Ратевани Болнисского района М. Авкопашвили, который явился с заявлением в райотдел милиции.

Поиски длились два месяца, и казалось, дело придется сдать в архив. И вот неожиданная удача. 6 июля с. г. в результате проведенных сотрудниками ОУР Болнисского РОВД оперативных мероприятий были установлены и задержаны лица, подозреваемые в совершении преступления. Ими оказались жители города Тбилиси, ранее судимые Сааков Реваз Сергеевич. и Арзумелашвили Григорий Георгиевич. При допросе Сааков и Арзумелашвили признались в совершении преступления — кражи автомашины М. Авкопашвили. По месту жительства родителей задержанных, которые проживают в селах Болнисского района, были обнаружены в большом количестве узлы, детали и запчасти от автомашин «ВАЗ».

Разоблачение и задержание указанной преступной группы, в течение длительного времени совершавшей кражи автомашин в городе Тбилиси и близлежащих районах республики, стало возможным в результате правильной и умелой организации оперативно - следственных и розыскных мероприятий, профессональной бдительности и оперативного мастерства сотрудников Болнисского РОВД, что вызвало положительный резонанс среди населения района.

Г. СКРЯБИН.

# პოლიციელი მკვლელები

8 ოქტომბერს ადრე დილით ათასობით ადამიანი შეიკრიბა ფრანკფურტის (გფრ) ცენტრში, რათა უკანასკნელ გზაზე გაეცილებინათ ნეონაცისტთა თავყრილობის საწინააღმდეგო დემონსტრაციის დროს პოლიციელთა მიერ მოკლული გიუნტერ სარე. ანტიფაშისტის სიკვდილმა აღელვა მთელი დასავლეთ გერმანია. იმ ადგილზე სადაც გ. სარე მოკლეს დღე და ღამე საპატიო ვახტზე იდგნენ ომის საწინააღმდეგო მოძრაობის მონაწილენი. მოედანი სადაც პოლიციელთა ჯავშნიანი ავტომანქანის ბორბლებქვეშ დაიღუპა აქტიური ანტიფაშისტი, დაფარულია ცოცხალი ყვავილებით, რომელიც აქ მოიტანეს კომუნისტებმა, სოციალ-დემოკრატებმა, ახალგაზრდული ორგანიზაციების, პროფკავშირებისა და „მწვანეთა“ პარტიის წარმომადგენლებმა. 36 წლის ზეინკალი გ. სარე ფრანკფურტის ახალგაზრდული ცენტრის აქტივისტი იყო. იგი დიდ ენერგიას ახმარდა ახალგაზრდა მუშა-ემიგრანტების უფლებათა დაცვას.

მრავალათასიანი დემონსტრაციები გაიმართა ჰამბურგში, შტუტგარტში, კიოლნსა და ჰანოვერში. დასავლეთ გერმანიის ქალაქებში, სახლების კედლებზე დაინახავთ წარწერებს: „გერმანელი პოლიციელები — მკვლელები და ფაშისტები!“.

დაძაბული ვითარება შეიქმნა ფრანკფურტში. ქალაქის ქუჩებში პატრულობენ პოლიციის გაძლიერებული განაწესები.

— ჩვენ მოვითხოვთ დასავლეთ გერმანიის ნეოფაშისტურ ორგანიზაციათა დაშლას, — ამბობდნენ სამგლოვიარო ცერემონიაზე გამოსულები. — ჩვენი სირცხვილია, როდესაც ფაშიზმის განადგურებიდან 40 წლის შემდეგ პოლიცია კლავს ადამიანს, რომელიც მონაწილეობდა ანტინაცისტურ დემონსტრაციაში.

სპორტი—სპორტი—სპორტი

# გაიმარჯვა მეგობრობამ

ტრადიციული გახდა სამხრეთ ოსეთის დღეები აჭარაში და აჭარის დღეები სამხრეთ ოსეთში. აჭარელმა მშრომელებმა გადაწყვიტეს ძეგლი დაედგათ ამ ძმობისათვის. ცხინვალში — თეატრალურ მოედანზე აგეს მუსიკალური შადრევანი, რომელიც მეგობრობის ძეგლად დგას.

ორი ხალხის მეგობრობა სპორტშიც გრძელდება. ამის ნათელი დასტურია 5 ოქტომბერს ქალაქის სტადიონზე გამართული ამხანაგური მატჩი ფეხბურთში, რომელიც სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეს მიეძღვნა.

ერთმანეთს შეხვდნენ აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს გუნდები.

სტუმრებს მიესალმა სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს პოლიტგანყოფილების უფროსი მ. მაწიაშვილი. მან თქვა: ყველამ კარგად ვიცით, რომ კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო დარგი სწორედ სპორტული მოძრაობაა და, ბუნებრივია, საბჭოთა კონსტიტუციაში არც ეს სფეროა გამორჩენილი. ქვეყნის ძირითადი კანონის მადლია, რომ ნებისმიერ ჩვენთაგანს შეუძლია ივარჯიშოს, გაიკაჟოს ჯანმრთელობა. კონსტიტუციის მადლია, რომ ჩვენ ახე ლაღად, ახე წელგამართული ვართ ჩაბმული ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში, ვმართავთ ამხანაგურ შეხვედრებს, შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

შემდეგ მინდორი დაეთმო ფეხბურთელებს.

საინტერესო ასპარეზობა მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით და დამთვრდა ფრედ — 1-1 მართალია მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა, მაგრამ რაც მთავარია, გაიმარჯვა ორი ხალხის ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობამ.

მატჩის შემდეგ მოხდა დაჯილდოება. მ. მაწიაშვილმა აჭარის გუნდის, მოთამაშეებს საზეიმოდ გადასცა თასი, სიგელები და სუვენირი-ოსური ეროვნული ქუდები. აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსის თანაშემწემ ნ. თურმანიძემ მასპინძლებს გადასცა სამახსოვრო თასი.

საუკეთესო მოთამაშეებისათვის დაწესებული პრიზები დაიმსახურეს თავდამსხმელმა ს. რამიშვილმა (ბათუმი) და მეკარე დ. ბაციკაძემ (ცხინვალი).

აჭარისა და სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა ორგანოების ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური შეხვედრები ტრადიციული გახდება. საპასუხო მატჩი ბათუმში შედგება.

# დინამოელთა წარმატება

გომელში დამთავრდა დინამოელ იუნიორთა საკავშირო შეჯიბრება ძიუდოში. მძიმე და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში გაიმარჯვა ქუთაისელმა ა. კიბორძალიძემ. ოქროს მედლები მოიპოვეს აგრეთვე თბილისელებმა ბ. ფირცხელანმა (86 კგ) და ა. ხაჩიძემ (95 კგ). გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საქართველოს ძიუდოისტებმა.

ოდესაში ჩატარდა დინამოელ იუნიორთა საკავშირო პირველობა სამბოში. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებიდან ოქროს მედალს დაეუფლა ა. ჭელიძე (97კგ), ვერცხლისას კ. ეგიძე (75 კგ) და ი. ჭინჭარაძე (87 კგ); ბრინჯაოსას ბ. გულიაშვილი (97 კგ).



# Психологическое изучение личности преступника

(Окончание. Начало в № 40 от 6 октября 1985 г.).

Человек является индивидуальностью, наделенной единичными, неповторимыми свойствами. Личностью он становится в силу того, что сознательно определяет свое отношение к окружающему. Здесь обнаруживается диалектическая взаимосвязь общего (типического), единичного общественного (всеобщего) и индивидуального (общественного по сущности, но не всеобщего). И каждое решение человеком определенной жизненной задачи, только ему одному присущим способом, есть реализация этой диалектической связи.

Исследование собственно побуждений к осуществлению преступной деятельности начинается с анализа ее мотивов — предметного содержания потребностей. То, что любая (в том числе и преступная) деятельность полимотивирована, ныне не вызывает никаких сомнений. Сложность определения ведущего мотива обусловлена иерархичностью мотивационной сферы, которая к тому же обладает определенной подвижностью, поскольку содержание личности обеспечивается широтой и глубиной многообразных социальных связей и отношений. Самый закоренелый преступник никогда не реализует одну единственную деятельность — преступную, а всегда живое многообразие иных деятельностей, которым имманентны определенные системы человеческих отношений, безусловно, в ситуации общения. Мотивы поведения личности органически вплетены в ее направленность, интегрирующую в себе индивидуально-личностные свойства и качества, особенности мотивационной сферы и усвоенную индивидом систему общечеловеческих деятельностей.

Неблагоприятные средовые условия влекут дисгармонию потребностей личности, а значит, и всей мотивационной сферы. Вопрос о дисгармонии и деформации потребностей личности как детерминантов противоправого поведения достаточно подробно рассмотрен в отечественной криминологической литературе. Однако проблема механизма этой деформации, динамики смыслообразующих, ведущих мотивов весьма далека от разрешения.

Тем не менее, приведенные выше статистические данные требуют детального психологического рассмотрения и организации направленного исследования. К числу малоизученных социально - психологических проблем личности преступника относится воздействие значительного числа социальных факторов, а именно: малых и неформальных групп, межличностного взаимодействия, социальной изоляции и т. п. На этом основании целесообразно организовать исследование социальных статусов, ролей, ценностных ориентаций, коммуникативности, устойчивости к стрессгенным ситуациям, комформности и коллективистских тенденций, социальной идентификации и пр.

Значительный интерес представляет исследование влияния отдельных возрастных периодов развития на динамику основных психических функций и личностных проявлений в преступной деятельности. Так, исследователем Л. Б. Филоновым доказана особая восприимчивость макропериодов онтогенеза (3—18 лет) при формировании таких характерологических асоциальных качеств, как жестокость, жадность, лживость. Есть все основания для изучения более широких возрастных диапазонов и наиболее значимых свойств личности.

Преодоление методических трудностей при психологическом изучении личности правонарушителя видится в организации комплексного исследования и реализации системного подхода, многоуровневого образования (каковым выступает исследуемая личность). В результате при подобном исследовании становится возможным проникнуть в суть исследуемого объекта, найти такую его характеристику, которая не может быть выявлена какой-то одной наукой. В этом смысле междисциплинарное знание превышает объем знаний, граничащих с ним дисциплин, отражает суть исследуемого объекта в другом ее измерении.

Высказанные теоретические и методологические соображения носят постановочный характер и могут быть развиты при осуществлении комплексного изучения личности правонарушителя.

В. АНДРОСЮК,
кандидат психологических наук.

**სარედაქციო კოლეგია**
**РЕДКОЛЛЕГИЯ**

სიღნაღის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების თანამშრომლები იუწყებიან, რომ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა უბნის ინსპექტორი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი

**გიორგი ვასილის ძე ხმალაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23. ტელ. 95-66-72, 99-41-24. Наш адрес: 380025, ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
უე 03914